**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში 2025-2026 წელს გაწეული მუშაობის შესახებ**

ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური შეისწავლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, განსაზღვრავს პრიორიტეტულ მიმართულებებს, სამსახური აწარმოებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა-პატრონობის სამუშაოებს, ამზადებს დასკვნებს და რეკომენდაციებს მუნიციპალტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის შესახებ, ასევე მონაწილეობს სამსახურის დებულებით განსაზღვრულ სხვა საკითხების მოგვარებაში.

**რეგიონალური განვითარების პროექტების ფონდი**

**2025 წელი**

2025 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, რეგიონალური განვითარების პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის N1955 (31.12.2024) განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს პირველი და მეორე ეტაპით ჯამში გამოეყო 6 652 643 ლარი, დაფინანსდა 46 პროექტი. პროექტების განკარგულების ვადებში განხორციელების და დახელშეკრულებების გამო მუნიციპალიტეტი იღებს ბონუსებს, რის გამოც გამოყოფილი ჯამური თანხა 601 372 ლარით მეტია წინა წლის თანხაზე, რამაც მოგვცა საშუალება განგვეხორციელებია დამატებითი პროექტები. დაფინანსებული 46 პროექტიდან 42 იყო გარდამავალი 2025-2026 წლებში. ამ დროისათვის 46 პროექტიდან 43 პროექტი დასრულებულია. სამუშაოები მიმდინარეობს 2026 წლის გარდამავალ პროექტებზე.

| N | 2025 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება | სტატუსი | პროექტის განხორციელების პერიოდი წწ | პროექტის სრული ღირებულება | რეგ.ფონდი | გამარჯვებული ორგანიზაცია |
|---|---|---|---|---|---|---|

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ღორეშა-მარიამწყაროს გზის რეაბილიტაცია (III ეტაპი) | დასრულებულია საკასოთი | 2024-2025 | 459,169.17 | 239,170.00 | შპს ალპედე |
| 2 | სოფელ ხორითის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი) | დასრულებულია საკასოთი | 2024-2025 | 545,030.52 | 320,031.00 | შპს ალპედე |
| 3 | სოფელ ნებოძირში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი) | დასრულებულია საკასოთი | 2024-2025 | 548,906.27 | 348,907.00 | შპს მეკა |
| 4 | სოფელ ბაზალეთში ლომსაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია | დასრულებულია საკასოთი | 2024-2025 | 645,851.00 | 132,080.00 | შპს მეკა |
| 5 | სოფელ ვარძიაში საუბნო გზის რეაბილიტაცია (საუბნო გზები 2 უბანში) | მიმდინარეობს დაპიკეტაჟება დაკვალვის პროცესი, გრუნტის სამუშაოები | 2024-2025 | 1,080,000.00 | 486,905.00 | შპს Georgian Build |
| 6 | სოფელ ღუდუმექეთში გზის რეაბილიტაცია (კახორის ეკლესიამდე მისასვლელი გზა) | მიმდინარეობს დაპიკეტაჟება დაკვალვის პროცესი, გრუნტის სამუშაოები | 2024-2025 | 713,462.71 | 360,224.00 | შპს Georgian Build |
| 7 | სოფელ ლახუნდარაში გზის რეაბილიტაცია (მელქაძეების უბანი) | დასრულებულია საკასოთი | 2024-2025 | 426,774.75 | 226,775.00 | შპს მშენებელი 2022 |
| 8 | სოფელ ვაშლევში გზის რეაბილიტაცია | დასრულებულია საკასოთი | 2024-2025 | 484,897.62 | 284,898.00 | შპს მშენებელი 2022 |
| 9 | სოფელ წაქვაში გზის რეაბილიტაცია | დასრულებულია საკასოთი | 2024-2025 | 320,330.85 | 120,331.00 | შპს მეკა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 10 | სოფელ ჯაფაროულში საუბნო გზის რეაბილიტაცია | დასრულე ბულია საკასოთი | 2024-2025 | 229,580.26 | 59,417.00 | შპს გგ |
| 11 | სოფელ კიცხში საუბნო გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი) | დასრულე ბულია საკასოთი | 2024-2025 | 655,541.77 | 67,949.00 | შპს სანდრო |
| 12 | სოფელ ხუნევში გზის რეაბილიტაცია (გუბათის უბანი II ეტაპი) | დასრულე ბულია საკასოთი | 2024-2025 | 211,378.60 | 66,379.00 | შპს მეკა |
| 13 | სოფელ ლეღვანში საუბნო გზის რეაბილიტაცია (კაჟნარი-კოდაბოლოს უბანი) | დასრულე ბულია საკასოთი | 2024-2025 | 480,459.01 | 230,460.00 | შპს ფირმა იმედი |
| 14 | ბორი-საქარიქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია | დასრულე ბულია საკასოთი | 2024-2025 | 499,868.81 | 245,833.00 | შპს სანდრო |
| 15 | სოფელ ვახანში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ელაზნაურის და არევაძის უბანი) | დასრულე ბულია საკასოთი | 2024-2025 | 645,851.00 | 10,227.00 | შპს მეკა |
| 16 | სოფელ ღარიხევში გზის რეაბილიტაცია (ჭილოფის უბანი) | დასრულე ბულია საკასოთი | 2024-2025 | 403,331.74 | 111,980.00 | შპს მეკა |
| 17 | სოფელ საღანძილის საუბნო გზის რეაბილიტაცია (მაღლამინდორის უბანი) | დასრულე ბულია საკასოთი | 2024-2025 | 389,620.22 | 66,856.00 | შპს ფირმა იმედი |
| 18 | სოფელ ხიდარში საუბნო გზის რეაბილიტაცია | დასრულე ბულია საკასოთი | 2024-2025 | 173,141.71 | 53,142.00 | შპს მშენებელი 2022 |
| 19 | სოფელ ღუდუმექეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია | დასრულე ბულია | 2024-2025 | 130,537.29 | 43,310.00 | შპს Georgian Build |
| 20 | სოფელ ლაშეში საუბნო გზის რეაბილიტაცია | დასრულე ბულია საკასოთი | 2024-2025 | 149,762.92 | 49,763.00 | შპს გგ |
| 21 | სოფელ უბისაში საუბნო გზის რეაბილიტაცია | დასრულე ბულია საკასოთი | 2024-2025 | 258,317.93 | 108,318.00 | შპს იმესი |
| 22 | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ვარძიაში | დასრულე ბულია საკასოთი | 2024-2025 | 346,590.37 | 126,590.00 | შპს ბორი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გზის რეაბილიტაცია (დვლების უბანი) | | | | | |
| 23 | სოფელ მარელისში საუბნო გზის რეაბილიტაცია | დასრულებულია | 2025-2026 | 705,555.00 | 174,296.00 | შპს გგ |
| 24 | სოფელ ლეღვანში საუბნო გზის რეაბილიტააცი (ზუნგების უბანი) | მიმდინარეობს დაპიკეტაჟება დაკვალვის პროცესი, გრუნტის სამუშაოები | 2025-2026 | 300,677.85 | 100,000.00 | შპს ქონქრითმენ |
| 25 | სოფელ წყალაფორეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ბუდიანეთის უბანი) | დასრულებულია საკასოთი | 2025-2026 | 177,777.00 | 100,000.00 | შპს დანი |
| 26 | სოფელ ბორითში საუბნო გზის რეაბილიტაცია | დასრულებულია საკასოთი | 2025-2026 | 601,151.00 | 200,000.00 | შპს მშენებელი 2022 |
| 27 | სოფელ კიცხში საუბნო გზების რეაბილიტაცია | დასრულებულია საკასოთი | 2025- | 160,231.00 | 128,185.00 | შპს დანი |
| 28 | სოფელ ვახანში საუბნო გზების რეაბილიტაცია | დასრულებულია | 2025-2026 | 620,000.00 | 150,000.00 | შპს გგ |
| 29 | სოფელ ლახუნდარის საუბნო გზის რეაბილიტაცია | დასრულებულია საკასოთი | 2025-2026 | 261,971.00 | 130,000.00 | შპს სანდრო |
| 30 | სოფელ დეისში (კაპანაძეები) საუბნო გზის რეაბილიტაცია | დასრულებულია | 2025-2026 | 187,777.00 | 100,000.00 | შპს დანი |
| 31 | სოფელ ვერტყვიჭალაში (სკოლა) საუბნო გზის რეაბილიტაცია | დასრულებულია საკასოთი | 2025-2026 | 320,665.00 | 100,000.00 | შპს იმესი |
| 32 | სოფელ ხევში საუბნო გზის რეაბილიტაცია | დასრულებულია საკასოთი | 2025-2026 | 261,930.00 | 100,000.00 | შპს ქონქრითმენ |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 33 | სოფელ ღორეშაში საუბნო გზების რეაბილიტაცია | დასრულებულია | 2025-2026 | 395,116.00 | 150,000.00 | შპს იმესი |
| 34 | სოფელ ფარცხნალში საუბნო გზის რეაბილიტაცია | დასრულებულია | 2025-2026 | 279,996.60 | 170,000.00 | შპს სანდრო |
| 35 | სოფელ საზეში საუბნო გზის რეაბილიტაცია | დასრულებულია | 2025-2026 | 298,726.85 | 100,000.00 | შპს მ გრუპი |
| 36 | სოფელ ბორში გზის რეაბილიტაცია | მიმდინარეობს ბეტონის საფარის დაგება | 2025-2026 | 299,776.62 | 150,000.00 | შპს სანდრო |
| 37 | სოფელ წაქვაში (ზედა უბანი) საუბნო გზის რეაბილიტაცია | დასრულებულია | 2025-2026 | 217,777.00 | 150,000.00 | შპს დანი |
| 38 | სოფელ ბაზალეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია | დასრულებულია | 2025-2026 | 286,777.00 | 200,000.00 | შპს ქონქრითმენ |
| 39 | სოფელ ხემაღალში გზის რეაბილიტაცია | დასრულებულია საკასოთი | 2025-2026 | 349,121.91 | 125,000.00 | შპს სანდრო |
| 40 | პატარა ხარაგაულში საუბნო გზების რეაბილიტაცია | ტენდერშია | 2025- | 66,641.00 | 66,641.00 | |
| 41 | სოფელ უბისაში საუბნო გზის რეაბილიტაცია | ტენდერშია | 2025-2026 | 199,434.00 | 100,000.00 | |
| 42 | სოფელ მარელისში საუბნო გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი) | ტენდერშია | 2025-2026 | 319,038.00 | 150,000.00 | |
| 43 | ღორეშა-მარიამწყაროს გზის რეაბილიტაცია | ტენდერშია | 2025-2026 | 320,115.00 | 100,000.00 | |
| 44 | სოფელ ქროლში საუბნო გზის რეაბილიტაცია | ტენდერშია | 2025-2026 | 152,489.00 | 52,331.00 | |
| 45 | სოფელ წიფში საუბნო გზის რეაბილიტაცია | ტენდერშია | 2025-2026 | 118,694.00 | 52,331.00 | |
| 46 | სოფელ თეთრაწყაროში საუბნო გზის რეაბილიტაცია | ტენდერშია | 2025-2026 | 155,655.00 | 52,332.00 | |

## 2026 წელი

2026 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, რეგიონალური განვითარების პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის N1266 განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს პირველი და მეორე ეტაპით ჯამში გამოეყო 5 870 792 ლარი, დაფინანსდა 39 პროექტი. დაფინანსებული 39 პროექტიდან 36 არის გარდამავალი 2026-2027 წლებში. რადგანაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად ეწყობა დაახლოებით 40 კილომეტრი გზა და ყველა ცენტრალური გზა თითქმის უკვე რეაბილიტირებულია მიმდინარე წელს მოხდა განსხვავებული პროექტების შერჩევაც როგერებიცაა გარე ფასადები და ცენტრალური წყლის სისტემა აღნიშნულისთვის გამოყოფილი თანხის დაახლოებით 20% დაიხარჯება. რაც შეეხება პროექტების მიმდინარეობას მიუხედავად წვიმიანი გაზაფხულისა, რაც სამუშაოების დაწყებას ართულებდა უკვე დასრულებულია 21 პროექტი, მათ შორის 2027 წელს გარდამავალიც. მიმდინარეა 17 პროექტი, ხოლო ტენდერი მიმდინარეობს ყოფილი უნივერმაღის შენობის რეაბილიტაციის სამუშაოებზე აღნიშნული შენობა წლების განმავლობაში ძლიერ იყო დაზიანებული და გარკვეულწილად საშიშიც ხდებოდა მოქალაქეებისათვის. შენობას ჩაუტარდა სამხარაულის ექსპერტიზა რომელმლის დასკვნის საფუძველზე მომზადდა სპეციალური პროექტი, ასევე შენობას ექსპერტიზა ჩაუტარდა კონსტრუქციულ მდგრადობაზე.

| N | 2026 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება | სტატუსი 13.07 | 2026 წლის რეგ.ფონდი |
|---|---|---|---|
| 1 | სოფელ ვარძიაში საუბნო გზის რეაბილიტაცია (საუბნო გზები 2 უბანში) | მიმდინარე | 193,095.00 |
| 2 | სოფელ ლეღვანში საუბნო გზის რეაბილიტააცი (ზუნგების უბანი) | მიმდინარე | 200,678.00 |
| 3 | სოფელ საბეში საუბნო გზის რეაბილიტაცია | დასრულებულია საკასოთი | 198,727.00 |
| 4 | სოფელ ბაზალეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია | დასრულებულია | 86,777.00 |
| 5 | სოფელ ხემაღალში გზის რეაბილიტაცია | მიმდინარე | 224,122.00 |
| 6 | სოფელ უბისაში საუბნო გზის რეაბილიტაცია | დასრულებულია საკასოთი | 52,456.00 |
| 7 | სოფელ მარელისში საუბნო გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი) | დასრულებულია | 130,000.00 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 | ღორეშა-მარიამწყაროს გზის რეაბილიტაცია | დასრულებული საკასოთი | 156,093.00 |
| 9 | სოფელ ქროლში საუბნო გზის რეაბილიტაცია | დასრულებული საკასოთი | 62,025.00 |
| 10 | სოფელ წიფში საუბნო გზის რეაბილიტაცია | დასრულებული საკასოთი | 37,075.00 |
| 11 | სოფელ სარგვეშში ცისკაძეების და მაჭავარიანების გზის რეაბილიტაცია | მიმდინარეობს | 100,000.00 |
| 12 | სოფელ წყალაფორეთში გზის რეაბილიტაცია (ეკლესიის უბანი) | მიმდინარეობს | 150,000.00 |
| 13 | სოფელ ამაშუკეთის გზის რეაბილიტაცია | მიმდინარეობს | 120,000.00 |
| 14 | სოფელ მაქათუბანში გზის რეაბილიტაცია (რკინის უბანი) | დასრულებულია | 120,000.00 |
| 15 | სოფელ ბაბში გზის რეაბილიტაცია | მიმდინარეობს | 120,000.00 |
| 16 | სოფელ ნადაბურში გზის რეაბილიტაცია (მე-4 და მე-11 ქუჩა) | დასრულებული საკასოთი | 70,000.00 |
| 17 | სოფელ ხუნევში გზის რეაბილიტაცია (კოშკის უბანი) | დასრულებული საკასოთი | 130,000.00 |
| 18 | სოფელ სარგვეშში წყლის სიტემის მოწყობა (I ეტაპი) | მიმდინარეობს | 410,000.00 |
| 19 | სოფელ ხევში გზის რეაბილიტაცია (ძამუკაშვილების უბანი) | დასრულებული საკასოთი | 100,000.00 |
| 20 | სოფელ ახალსოფელში გზის რეაბილიტაცია (ბოღოღიანის უბანი) | დასრულებულია | 130,000.00 |
| 21 | სოფელ ლეღვანში გზის რეაბილიტაცია (ქვიანთის უბანი) | ხელშეკრულება დადებულია | 210,000.00 |
| 22 | სოფელ ბაზალეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ნანიტაშვილების უბანი) | დასრულებული საკასოთი | 130,000.00 |
| 23 | სოფელ ვაშლევის გზის რეაბილიტაცია | დასრულებულია | 50,000.00 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 24 | სოფელ ღორეშაში გზის რეაბილიტაცია (კურტანიძეების და ნარაზოულის უბანი) | **დასრულებულია** | 100,000.00 |
| 25 | სოფელ დეისში გზის რეაბილიტაცია (ზედა უბანი) | **მიმდინარეობს** | 150,000.00 |
| 26 | სოფელ ვახანში გზის რეაბილიტაცია (ვახანისწყალი) | **დასრულებულია** | 120,000.00 |
| 27 | სოფელ თეთრაწყაროში საუბნო  გზის რეაბილიტაცია | **დასრულებულია** | 150,000.00 |
| 28 | სოფელ მოლითის გზის რეაბილიტაცია | **დასრულებულია საკასოთი** | 100,000.00 |
| 29 | სოფელ მარელისში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ზერაწმინდის უბანი) | **მიმდინარეობს** | 200,000.00 |
| 30 | სოფელ ლეღვანში გზის რეაბილიტაცია (ვეფხვაძეების და ბურჯანაძეების უბანი I ეტაპი) | **დასრულებულია საკასოთი** | 100,000.00 |
| 31 | სოფელ ღორეშაში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ორჯონიკიძეების და მჭედლიძეების უბანი) | **მიმდინარეობს** | 202,745.00 |
| 32 | დაბა ხარაგაულში მრავალბინიანი სახლის ფასადის რეაბილიტაცია | **მიმდინარეობს** | 106,999.00 |
| 33 | სოფელ უჩამეთის გზის რეაბილიტაცია | **მიმდინარეობს** | 100,000.00 |
| 34 | სოფელ ბეჟათუბანში გზის რეაბილიტაცია (I ეტაპი) | **დასრულებულია საკასოთი** | 100,000.00 |
| 35 | სოფელ ღარიხევში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ბრუისის უბანი III-ე ტაპი) | **მიმდინარეობს** | 100,000.00 |
| 36 | სოფელ ვერტყვილაში გზის რეაბილიტაცია (ლურსმანაშვილების უბანი) | **დასრულებულია საკასოთი** | 120,000.00 |
| 37 | სოფელ ხიდარში საუბნო გზის რეაბილიტაცია | **მიმდინარეობს** | 160,000.00 |
| 38 | სოფელ ბორში საუბნო გზის რეაბილიტაცია | **მიმდინარეობს** | 180,000.00 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 39 | დაბა ხარაგაულში მულტიფუნქციური (ახალგაზრდული,კულტურული,ტურისტული,საგანმანათლებლო) ცენტრისთვის განკუთვნილი შენობის რეაბილიტაცია | გამოცხადებულია | 700,000.00 |
| | | | ***5,870,792.00*** |

**მაღალმთიანი**

2026 წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 30 აპრილის N878 განკარგულებით გამოეყო 381 506 ლარი, დაფინანსდა 2 პროექტი, პროექტები ერთწლიანია დასრულდება მიმდინარე წელში, მიმდინარეობს სამუშაოები:

| N | 2026 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება | სტატუსი | მთის ფონდი |
|---|---|---|---|
| 1 | ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბჟინევში გზის რეაბილიტაცია (I ეტაპი) | **მიმდინარე** | 200,000.00 |
| 2 | ხარაგაულის მუწიციპალიტეტში, სოფელ ზვარეში (ხიხაძეები, ორთოიძეები) საუბნო გზების რეაბილიტაცია (I ეტაპი) | **მიმდინარე** | 181,506.00 |
| | | | ***381,506.00*** |

**სოფლის პროგრამა**

2026 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტს პროექტების განსახორციელებლად გამოეყო 890 000 ლარი, სამუშაოების მოცულობების გაზრდის მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდა თანადაფინანსება 318 000 ლარი, ჯამში სოფლის პროექტების ღირებულებამ შეადგინა 1 208 000 ლარი. პროექტების შერჩევის მიზნით ყველა სოფელში ჩატარდა კრებები. მოსახლეობის მიერ შეირჩა 181 პროექტი, მათ შორის გზების 39პროექტი - 230 000 ლარი, გარე განათების 31პროექტი - 240 000 ლარი, წყლის სისტემები 39 პროექტი – 150 600 ლარი, რამდენიმე სოფელმა მოსახლეობის შეთანხმებით მოითხოვა 1 საერთო პროექტის განხორციელება რომელიც ითვალისწინებს ახალი წისქვილის მშენებლობას. 10 პროექტი

სასაფლაოს კეთილმოწყობა 70 000 ლარი, სხვადასხვა კატეგორიის პროექტები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები რის შემდეგაც დაიწყება სამშენებლო სამუშაოები.

## სტიქია

2024 წელს სტიქიამ (ძლიერმა ქარმა და წვიმამ) ისევ დააზარალა როგორც კერძო მოქალაქეების კუთვნილი შენობა-ნაგებობები ასევე მუნიციპალური საგზაო ინფრასტრუქტურაც შიქმნა კომისია რომელმაც იმუშავა ზარალის დადგენაზე მთელი მუნიციპალიტეტის მაშტაბით: შესწავლილი იქნა 130 მოქალაქის კერძო საცხოვრებელი სახლი, მეწყერსაშიში ზონებიდან სხვადასხვა სოფლებში მოხდა 23 ოჯახის გასახლება ქირით უსაფრთხო ზონაში რეკომენდაციების მიზნით კი მიემართა გეოლოგიის დეპარტამენტს, ასევე დაზიანდა ადმინისტრაციული შენობები და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურა, იდენთიფიცირებული იქნა 49 მეწყერი რომლებიც იწმინდებოდა მყისიერად.

2025 წელს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფლი იქნა 1 120 000 ლარი, რომლითაც დაფინანსდა სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტები, ჯამში 11 პროექტი რომელთაგან უკვე ყველა დასრულებულია.

| N | 2025 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება | სტატუსი | რეგ.ფონდი | გამარჯვებული ორგანიზაცია |
|---|---|---|---|---|
| 1 | სოფელ გედსამანიაში ,,უსახელო ღელეზე" დაზიანებული 1 ერთეული სცალფეხო ხიდის აღდგენა | მიმდინარეობს | 5,909.85 | შპს მეკა |
| 2 | სოფელ გედსამანიაში ,,ღებარა ღელეზე" ხიდ-ბოგირის მოწყობა | მიმდინარეობს | 3,961.61 | შპს მეკა |
| 3 | სოფელ გედსამანიაში ბლიაძეების უბანში 3 ერთეული ხიდ-ბოგირის მოწყობა | მიმდინარეობს | 63,802.80 | შპს მეკა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | სოფელ გედსამანიაში 7 ადგილზე ნაპირდამცავი კედლის/გაბიონის მოწყობა | მიმდინარეობს | 317,644.54 | შპს ელიტ ბილდერს გრუპი |
| 5 | სოფელ გედსამანიაში მდინარის და ღელის კალაპოტის ფორმირება საჭიროების მიხედვით ნატანის ამოღება გატანით | მიმდინარეობს | 119,246.25 | შპს ელიტ ბილდერს გრუპი |
| 6 | სოფელ წაქვაში გზის დამცავი კედლის მოწყობა | დასრულებულია საკასოთი | 26,597.76 | შპს ელიტ ბილდერს გრუპი |
| 7 | სოფელ ვერტყვიჭალაში ბლიაძეების უბანში მისასვლელ გზაზე (აკაკი ბლიაძის სახლის მიმდებარედ) საყრდენი კედლის მოწყობა | დასრულებულია საკასოთი | 23,299.37 | შპს ელიტ ბილდერს გრუპი |
| 8 | სოფელ გედსამანიაში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ჩადუნლების უბანი) | მიმდინარეობს | 392,151.51 | შპს მეკა |
| 9 | სოფელ გედსამანიაში საუბნო გზის რეაბილიტაცია (რიკაძეების უბანი) | მიმდინარეობს | 167,386.31 | შპს მეკა |
| 10 | სოფელ საღანძილეში თამაზ კიკნაძის სახლის მიმდებარედ არსებულ (ჩუჩქნა) ღელეში დამცავი კედლის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა | დასრულებულია საკასოთი | 17,129.00 | ი.მ. ნიკა ოსანაძე |
| 11 | სოფელ ლეღვანში ,,ჭინალის" უბანში სტიქიისგან დაზიანებულია გზის რეაბილიტაცია/აღდგენის სამუშაოების შესყიდვა | დასრულებულია საკასოთი | 21,593.00 | ი.მ. ნიკა ოსანაძე |

მიმდინარე წლის თებერვალი-მარტის თვეში განვითარებულმა სტიქიამ (დიდთოვლობა) დიდი ზიანი მიაყენა მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, უმოკლეს დროში შესწავლილი იქნა 252 განცხადება, ძირითადი დაზიანება ეხებოდა სახლის სახურავებს ჯამში დაზიანებამ შეადგინა 12 000 კვმ ფართობი. მონაცემები გადაიგზავნა შესაბამის უწყებაში დაფინასების მისაღებად. მოხდა 113 სახლის დაფინასება 1 995 000 ლარით, როომელთაგან 63 დაიხურა შემსრულებელი კომპანიის მიერ 50 სახლის დახურვა ვერ მოხერხდა სხვა დაზიანებების გამო. მოხდა აღნიშნული ოჯახების საკომპენსაციო

სიაში გადატანა. კომპენსაცია უკვე გაცემულია 80 ოჯახზე, ჯამში 673 415 ლარი. მიმდინარეობს სრულად დანგრეული სახლების (სახლი რომელიც აღდგენას არ ექვემდებარება) მფლობელთათვის კომპენსაციის გაცემის პროცესი, დდგინდება ამონაწრები ქონების თანამფლობელები, ოჯახის წევრები, დაახლოებით 20 ივლისიდან დაიწყება უკვე მზა დოკუმენტაციის მქონე პირთათვის თანხების ანაზღაურება. რაც შეეხება ე.წ ზამთრის სამუშაოებს დიდთვოლობის დროს სამსახური მუშაობდა საგანგებო რეჟიმში მაქსიმალურად ხდებოდა ტექნიკის საწვავის და სხვადასხვა საჭიროებების სოფლებისთვის მიწოდება რამაც უმოკლეს დროში შესაძლებელი გახადა ჩაკეტილი გზების გახსნა.

ასევე მიმდინარე წელს სტიქიის ფონდიდან გამოყოფილი იქნა 515 000 დაფინანსდა 3 პროექტი, მიმდინარეობს სამუშაოები. მიმდინარე წელს ჭარბმა წვიმებმა ასევე გამოიწვია გარკვეული ზიანი მუნიციპალიტეტის ტერიორიაზე (მოლითი, ვახანი, გეცამანია, ნადაბური, ღორეშა, მირონწმინდა, ხიდარი, ისრალი, დაბა) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ მუნიციპალიტეტს მოთხოვნილი აქვს 1 990 000 ლარი

## სკოლები

2026 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში განათლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო პროგრამა. პროგრამა ითვალისწინებს როგორც შენობების მცირე რეაბილიტაციას, ასევე უსაფრთხოების, ენერგოეფექტურობის, სპორტული და სანიტარული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 16 სკოლისა მცირე რეაბილიტაცია საპროექტო პაკეტის განხორციელება. სამუშაოები მოიცავს:

სკოლების სახურავების რეაბილიტაციას;

იატაკებისა და საკლასო ოთახების განახლებას;

გათბობის სისტემების მოწყობას;

შიდა ელექტროგაყვანილობის რეაბილიტაციას;

სპორტული მოედნებისა და დარბაზების მოწყობას;

სველი წერტილებისა და ეზოს კეთილმოწყობას;

დატბორვის საწინააღმდეგო ინფრასტრუქტურის მოწყობას;

ფასადებისა და დამცავი კედლების რეაბილიტაციას;

სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელებას.

დღეის მდგომარეობით პროექტების განხორციელება მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზეა, რამდენიმე ობიექტზე დასრულებულია საპროექტო მომსახურების შესყიდვა და გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. აღნიშნული ეტაპი გავლილია შემდეგ სკოლებზე:

1.დაბა ხარაგაულის №3 საჯარო სკოლა;

2.სოფელ ვარძიის საჯარო სკოლა;

3.სოფელ ლეღვანის საჯარო სკოლა;

4.სოფელ ხიდარის საჯარო სკოლა;

5.სოფელ უბისის საჯარო სკოლა;

6.სოფელ ნადაბურის საჯარო სკოლა;

7.სოფელ ხუნევის საჯარო სკოლა;

8.ბაზალეთის საჯარო სკოლა.

რამდენიმე პროექტზე მიმდინარეობს სამშენებლო ტენდერების შერჩევა-შეფასების პროცესი, მათ შორის:

1.სოფელ ხევის საჯარო სკოლის კარებების შეცვლა;

2.დაბა ხარაგაულის №2 საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია;

3.სოფელ ვახანის საჯარო სკოლის ორი საკლასო ოთახის რეაბილიტაცია;

4.სოფელ წიფის საჯარო სკოლის სპორტული მოედნის დამცავი კედლის მოწყობა;

5.სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის სახურავისა და ფასადის რეაბილიტაცია.

სამშენებლო სამუშაოებზე გამოცხადებულია ტენდერები შემდეგ ობიექტებზე:

1.სოფელ ბორითის საჯარო სკოლა — შიდა ელექტროგაყვანილობის რეაბილიტაცია, შენობის შეკეთება, საევაკუაციო კიბისა და სახანძრო ავზის მოწყობა;

2.სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა — სახურავისა და ფასადის რეაბილიტაცია.

პრობლემური საკითხები

საანგარიშო პერიოდში ერთ პროექტზე ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით:

1.სოფელ ბორის საჯარო სკოლაში ელექტროგაყვანილობის მოწყობის სამუშაოები, რის გამოც საჭირო გახდა შესყიდვის პროცედურის განმეორებით განხორციელება, რათა პროექტი განხორციელდეს დაგეგმილ ვადებში.

## ადგილობრივი-2026 წელი

2026 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიუჯეტის, მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავდა საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ხიდების რეაბილიტაციასა და მშენებლობას, ადმინისტრაციული შენობების განახლებასა და სანიაღვრე სისტემების მოწესრიგებას. აღნიშნული სამუშაოები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებას, მუნიციპალური სერვისების ხარისხის გაუმჯობესებასა და სოფლების ინფრასტრუქტურულ განვითარებას

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტში დაგეგმილი იყო 8 ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება. პროექტები მოიცავდა:

3 ხიდის მშენებლობასა და რეაბილიტაციას;

3 საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და მშენებლობას;

1 ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქციას;

1 სანიაღვრე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას.

აღნიშნული პროექტების საერთო დაგეგმილმა ღირებულებამ შეადგინა 746,153.61 ლარი. ტენდერების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 666,813.09 ლარი, რის შედეგადაც მიღწეულ იქნა დაახლოებით 79,340.52 ლარის ეკონომია, რაც წარმოადგენს დაგეგმილი თანხის დაახლოებით 10.6%-ს. საანგარიშო პერიოდის მდგომარეობით განხორციელებული საკასო შესრულება შეადგენს 265,959.73 ლარს, რაც ძირითადად დასრულებულ პროექტებზე განხორციელებულ გადახდებს ასახავს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სრულად დასრულდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

1.სოფელ ვახანში დაზიანებული გზისა და მილხიდის რეაბილიტაცია;

2.სოფელ უბისაში მდინარე კვადოურაზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია;

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის 4.მეორე სართულის სხდომათა დარბაზისა და სახურავის რეაბილიტაცია;

5.სოფელ ისლარში ახალი ხიდის მშენებლობა;

6.სოფელ ღვერკსა და ხემაღალში ადგილობრივი გზების ღორღით შევსებისა და 7.გასწორხაზოვნების სამუშაოები;

8.ნადაბურში დაზიანებული სანიაღვრე ცხაურებისა და არხების რეაბილიტაცია.

დასრულებული პროექტების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება, შემცირდა სტიქიური მოვლენებით გამოწვეული რისკები და გაიზარდა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გამართულობა.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს და უახლოეს დღეებში დაიწყება 3 მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება:

1. დაბისა და პატარა ხარაგაულის დაზიანებული გზების რეაბილიტაცია, პროექტი მიმდინარეობს აქტიურ ფაზაში. სამუშაოები დასრულების ეტაპზეა

2. სოფელ ვერტყვილაში ლურსმანაშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია

3.სოფელ გუდათუბანში გზის რეაბილიტაცია

მიმდინარე წელს ადგილობრივი ბიუჯეტის თანხები მობილიზებული იქნა თანადაფინანსებებშიც: 318 000 ლარით დაფინანსდა სოფლის მხარდაჭერის პროექტები. 150 ათასი ლარით მოხდება ,,სამოქალაქო ბიუჯეტი"-პროექტების დაფინანსება. რომლებზეც ხმის მიცემის პროცესი დაწყებულია.

მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა მუნიციპალური განვითარების ფონდთან და საავტომობილო გზების დეპარტამენტთან. დასრულდა სოფელ ვაშლევის სკოლის რეაბილიტაცია - 2 000 000 ლარი, დასრულდა სოფელ კიცხში ახალი ბაღის მშენებლობა 1 278 333 ლარი. აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს ძირულა-ხარაგაული-ფონა-ჩუმათელეთის 25 კილომეტრიან მონაკვეთზე, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 96 309 126 ლარია. სამუშაოებს ანხორციელებს შპს,,ნიუ როუდი" სამუშაოები 24 თვეში

უნდა დასრულდეს. ასევე დასრულდა სამუშაოები ლიჩი-ნადაბურის დამაკავშირებელ გზის მშენებლობაზე, პროექტის ფარგლებში სოფ ნადაბურში მოეწყო ხიდი და გზა, აღნიშნული პროექტი დააკავშირებს 2 მუნიციპალიტეტს სამუშაოების ღირებულება შეადგენს 9 876 999 ლარს. სხვადასხვა უწყებებიდან, ჯამში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს და შესრულდა 109 464 458 ლარის სამუშაოები.

ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური განიხილავს მოქალაქეებიდან შემოსულ განხადებებს საანგარიშო პერიოდში შესწავლილია და შესაბამისი რეაგირება მოყვა 2 635 განცხადებას, სამსახური ორგანიზებას უწევს მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურეობის საკითხებს, ტრანსპორტი ემსახურება დაბა ხარაგაულს სავადმყოფოს და რკინიგზის სადგურის მიმართულებით, ხევს, ხუნევს, ნადაბურს, ზვარეს, მოლითს და მიმდებარე სოფლებს, სულ ტრანსპორტი მოძრაობს 16 მიმართულებაზე რაც გასულ წლებთან შედარებით გაზრდილია. სამსახური ასევე იღებს მონაწილეობას მოსწავლეების ტრანსპორტით მოსახურების საკითხებში, მუნიციპალიტეტის ყველა სკოლას ემსახურება ტრანსპორტი 322 მიმართულებაზე რაც თვეში საშუალოდ 129 ათასი ლარის ღირებულებისაა.

სამსახურის სპეციალისტები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტში შექმნილ სხვადასხვა კომისიების და სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში, კოორდინაციას უწევენ გაზიფიცირებისა და ელექტრო ენერგიის გამრიცხველიანებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებს (მუნიციპალური საჭიროებებისათვის).

ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური, მერის დავალებების შესრულების მიზნით, მოქმედებს სამსახურის დებულების შესაბამისად. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას კოორდინირებულად მოქმედებს მერიის სხვა სამსახურებთან, მჭიდროდ თანამშრომლობს საკრებულოსთან და საკრებულოს შესაბამის კომისიასთან, აწარმოებს ოპერატიულ თანამშრომლობას სამხარეო ადმინისტრაციის, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან.